პროექტი

საქართველოს კანონი

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ

საქართველო არის სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო და მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს სახელმწიფოს მკაფიოდ და ნებაყოფლობით განცხადებული თანხმობის გარეშე წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაციას.

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია განსაზღვროს იმ ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ, დაადგინოს განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი ამ ტერიტორიებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ოკუპირებული ტერიტორიები – საქართველოს ამ კანონით განსაზღვრული ტერიტორიები, რომლებიც დაკავებულია რუსული შეიარაღებული ძალების მიერ;

ბ) ოკუპანტი – რუსეთის ფედერაცია;

გ) საოკუპაციო ადმინისტრაცია – ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და რომელიც შექმნილი არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) სამეწარმეო საქმიანობა - არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად;

ე) პირი – ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი.

მუხლი 3. ოკუპირებული ტერიტორია

რუსული შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებულია საქართველოს შემდეგი ტერიტორიები:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია;

ბ) ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია.

მუხლი 4. სამართლებრივი რეჟიმი

1. ამ კანონით განსაზღვრული სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება მხოლოდ ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიებზე.

2. ოკუპირებული ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი გულისხმობს შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფალი გადაადგილების, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების, საკუთრების განკარგვისა და ამ კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 5. თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

1. საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალ არჩევის უფლების შეზღუდვას.

2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია მხოლოდ:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – სამეგრელო-ზემო სვანეთის მიმართულებიდან;

ბ) ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე – გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან.

3. ყველა სხვა მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა წარმოადგენს საქართველოს საზღვრის უკანონო გადაკვეთას და ისჯება კანონით.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით შეიძლება გაიცეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის სპეციალური ნებართვა.

მუხლი 6. საკუთრების უფლების შეზღუდვა

1.საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აუცილებელი საზგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების განკარგვა იკრძალება ამ ტერირორიების სრულ დეოკუპაციამდე.

2. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს რომლებსაც ეს უფლება რეგისტრირებული აქვთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ამ კანონის ამოქმედებამდე.

3. ბათილია ნებისმიერი გარიგება, რომელიც დაიდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, ამ ტერიტორიების სრულ დეოკუპაციამდე.

მუხლი 7. სამეწარმეო საქმიანობის აკრძალვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალულია ნებისმიერი სახელმწიფოს, კერძო სამართლის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ შემდეგი სახის ეკონომიკური\საფინანსო საქმიანობა:

ა) კაპიტალდაბანდება, რომელიც მიზნად ისახავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარებას;

ბ) ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიების დაფინანსება.;

გ) ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი;

დ) გრანტისა და სესხის გაცემა;

ე) საქონლისა და მომსახურების მიწოდება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს ხელისუფლების თანხმობით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, თუ ამ საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ჰუმანიტარული დახმარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისათვის, ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის ხელშეწყობა.

3. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა წარმოადგენს უკანონო სამეწარმეო საქმიანობას და ისჯება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. ადამიანის უფლებების დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

1. საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევისათვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას.

2. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია ადამიანთა უფლების დარღვევის ყოველი ფაქტის შესახებ აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს და ჰაგის საერთაშორისო სისხლის სასამართლოს (რომის სტატუტი) პროკურორს.

3. ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეებისათვის, მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის და სათანადო ნებართვით საქართველოში მყოფი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოხვედრილი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება ეკისრება რუსეთის ფედერაციას, როგორც ოკუპაციის განმახორციელებელ სახელმწიფოს.

მუხლი 9. არალეგიტიმური საოკუპაციო ადმინისტრაცია

1. არალეგიტიმურია ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თუ ის შექმნილი არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ორგანოების მიერ გამოცემული ნებისმიერი სამართლებრივი აქტი ბათილია.

მუხლი 10. საქართველოს ხელისუფლების უფლება-მოვალეობანი

საქართველოს ხელისუფლება ამ კანონით დადგენილი დებულებების დარღვევისას ვალდებულია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლით დადგენილ ყველა მექანიზმს, საქართველოს კანონიერი ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

მუხლი 11. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი